თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4359441

ნომერი: AR1657816

თარიღი : 28.01.2019

გაცემის თარიღი : 01.02.2019

გაცნობის თარიღი : 06.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , ქუჩა ნოდარ დუმბაძე , ნაკვეთი 05/040;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია გოგოჩიშვილი პ/ნ 01003003802
- მიცკევიჩის ქ. 6, სად.5, ბინა 64

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1655078 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი , ქუჩა ნოდარ დუმბაძე , ნაკვეთი 05/040 # 01.11.13.005.040 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო განვითარებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 24 ოქტომბრის #AR1639670 ელექტრონული განცხადებით, სამსახურს მომართა მოქალაქე ჯემალ თხილიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი , ქუჩა ნოდარ დუმბაძე , ნაკვეთი #05/040 # 01.11.13.005.040 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, 2019 წლის 25 იანვრის #4349901 ბრძანებით, დაკმაყოფილდა მოქალაქე ჯემალ თხილიშვილის 2018 წლის 24 ოქტომბრის AR1639670 განცხადება და დამტკიცდა თანდართული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის
საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.
სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ
გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ასევე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი , ქუჩა ნოდარ დუმბაძე # 01.11.13.005.040 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე მშენებლობის ნებათვის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით. ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას
თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე.
რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.